# ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

# ოქმი № 32

22 ივლისი, 2019 წელი — ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2

11:00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

თინა მესტვირიშვილი

მარინა ჯღარკავა

ლარისა კეშელარია

გიორგი მინდიკაური

მარიამ მათიაშვილი

გივი გვიმრაძე

მარიამ ქორქოლაძე

ასევე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები მიშა ნურციძე და რეზან კორინთელი.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

# დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან მათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ
9. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
12 ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ (ლისის ქუჩის გაგრძელება, ნეკერჩხლის ქუჩა, ლისის იასამნების ქუჩა)
14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე მოედნისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ‘ზურაბ პატარიძის ქუჩისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, კომისიის ინიციატივით ქართული კინოს 111 წლის იუბილესთან დაკავშირებით დედაქალაქის ქუჩებს მსახიობების და რეჟისორების სახელები მიენიჭა კომისიამ პროფესიული წრეების მოსაზრებების საფუძველზე საჭიროდ ჩათვალა ერთ-ერთი ქუჩისთვის იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ემსჯელა. სახელდებისთვის შერჩეულ იქნა სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა საბურთალოს რაიონში.

კომისიის სხდომაზე საქართველოს სახალხო არტისტის იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებაზე ისაუბრეს, გაიხსენეს მისი არაჩვეულებრივი ფილმები: „ქეთო და კოტე", „ჭრიჭინა", „ქალის ტვირთი", „ხევისბერი გოჩა" და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. სახელდების მოთხოვნით კომისიას ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორმა თინათინ რუხაძემ მიმართა.

კომისიის წევრებმა ვახტანგ ქარსელაძის მოღვაწეობაზე ისაუბრეს. როგორც მარიკა დარჩიამ აღნიშნა, ვახტანგ ქარსელაძე საქართველოში ქალთა საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელია და აღიარებულია მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართველ მწვრთნელად.

თინათინ ხიზლოშვილის ინფორმაციით, კომისია აქტიურად მუშაობს დიდი დიღმის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „საუნივერსიტეტო კამპუსების“ სახელდებაზე. კომისიას სურს სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე, კერძოდ კი დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიანიჭოს ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელი. ხსენებული სახელდებით მისამართი ენიჭება რამდენიმე ასეულ ოჯახს.

კომისიის სხდომას ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს წევრი დავით უთმელიძე. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას მხარდაჭერისთვის და აღნიშნეს, რომ სწორედ ვახტანგ ქარსელაძის დამსახურებაა ქართული ჭადრაკის ასეთი დიდი წარმატება.

ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ წარმომადგენლის თინა მესტვირიშვილის თქმით, მართალია „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ სპორტული მიმართულებების დიდი ტრადიციების მქონე საჭადარაკო სკოლა უკვე ატარებს ვახტანგ ქარსელაძის სახელს, თუმცა მნიშვნელოვანია კომისიის მხარდაჭერა იმ საქმეში, რომ დედაქალაქის ქუჩების ჩამონათვალს სრულიად დამსახურებულად ვახტანგ ქარსელაძის სახელიც შეემატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი არცერთი

თავი შეიკავა არცერთი

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით დედაქალაქის არაერთ ქუჩას, სკვერს და მოედანს მიენიჭა ომში დაღუპული მებრძოლების სახელები. კომისია მომავალშიც გააგრძელებს ხსენებულ ინიციატივას და ამ მხრივ არც დღევანდელი კომისიის სხდომა არ იქნება გამონაკლისი. უფრო მეტიც, დღევანდელი სხდომის შემდეგ დედაქალაქში გაჩნდება აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელობის რამდენიმე ქუჩა და მოედანი. ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების მოთხოვნით კომისიას დედამ, მარგო კირთაძემ მომართა.

კომისიის წევრებმა მარინა ჯღარკავასთან ერთად მალხაზ ჯღარკავას ბიოგრაფიაზე ისაუბრეს, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის" სამშობლოს დაცვის და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის და თავდადებისთვის.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხს დადებითი რეკომენდაცია ერთხმად გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აეშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელი

4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, მოქალაქე ციალა კილაძის მომართვის საფუძველზე კომისიამ დაამუშავა გლდანის რაიონში ზაჰესის დასახლების მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი (ს.კ.72.12.01.766) .

სახელის შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციიდან შემოსული საინგილოში (კახში) მცხოვრები ეთნიკური ქართველების განცხადება, რომლითაც გვთხოვენ ერთ ერთი ქუჩისთვის გეოლოგის, სპელეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭებას. 1961 წლის ივნისში არსენ ოქროჯანაშვილმა ძოხაწილეობა მიიღო მანამდე უცნობი უფსკრულის, დღეს ყველასთვის კარგად ცნობილი ახალი ათონის მღვიმის შესწავლაში.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელი.

5 ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მოქალაქე ნაილე შათირიშვილის მომართვის საფუძველზე კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ზღვისუბნის დასახლებაში, უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ მოედანი მდებარეობს იმ კორპუსთან, სადაც ლევან შათირიშვილი გაიზარდა.

წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ღვაწლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, საიდანაც ირკვევა, რომ ლევან შათირიშვილი საბრძოლო დავალების შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულია შესაბამისი ორდენით.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტულ მოედანს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლამის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს თინათინ სიხლოშვილის განმარტებით, როგორც ქუჩებისთვის მსახიობების სახელების მინიჭებისას აღვნიშნეთ, ჩუღურეთის რაიონში მდებარე ლამის ქუჩა შედგება რამდენიმე სხვადასხვა მონაკვეთისგან, რაც ართულებს ქუჩების მიგნება დამისამართებას. აქედან გამომდინარე, ხსენებული მონაკვეთები საჭიროებს სახელწოდებების ცვლილებას, თუმცა ერთ-ერთი მონაკვეთი შენარჩუნებული იქნება ლამის ქუჩის სახელწოდებით. ხსენებულ მონაკვეთთან მდებარეობს ლამის პირველი და ლამის მესამე შესახვევი, რომლებიც ასევე ძირითადი ქუჩის გაგრძელებაა. ამგვარად გასწორდება გეგმარებითი შეცდომები, რასაც მომავალში მოყვება გეგმარებითი დამისამართება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთს, ლამის I შესახვევს და ლამის III შესახვევს მიენიჭოს ლამის ქუჩის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე მოქალაქე ლარისა კემულარიას მოუსმინეს, რომელმაც კომისიას ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების მოთხოვნით მომართა

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში არსებული მეხუთე ქუჩა მოიცავს მონაკვეთებს, რომლებიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ ქუჩად, მათგან ერთ-ერთს კომისიას სურს რევაზ ბებიას სახელი მიანიჭოს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელი.

8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც უკვე განვმარტეთ, სამგორის რაიონში ბესარიონ ქებურიას დასახლებაში არსებული მეხუთე ქუჩა მოიცავს მონაკვეთებს, რომლების მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ ქუჩად. ერთ-ერთ ქუჩას კომისიის ინიციატივით როგორც აღვნიშნეთ, რევაზ ზუბიას სახელი მიენიჭება, ხოლო მეორე ასევე დამოუკიდებელ ქუჩას გვსურს გელა მინდიკაურის სახელი მივანიჭოთ.

გელა მინდიკაური 1992 წელს დაიღუპა ოჩამჩირის რაიონში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

კომისიის სხდომას ესწრებოდა გიორგი მინდიკაური. მან ოჯახის წევრების სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას მხარდაჭერისთვის და ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელი.

9. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის #18 განკარგულების სიტუაციური ნახაზი მომზადდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, თუმცა ქუჩის I და II შესახვევები გეგმარებით კავშირში არ არის ძირითად, ცაცხვების ქუჩასთან. მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა (შეიცვალოს რუკა).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას განცხადებით მომართეს ოთარ ოძელაშვილის და ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის ოჯახის წევრებმა და ითხოვეს წყნეთში უსახელო ქუჩებისთვის მათი სახელების მინიჭება. კომისიურ რეჟიმში საკითხის შესწავლის დროს დადგინდა, რომ ოთარ ოძელაშვილი და ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილი ცხოვრობდნენ წყნეთში და დაიღუპნენ აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად თანამშრომლობს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, როცა საქმე ეხება დედაქალაქის რიგი ქუჩებისთვის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭებას. ამ შემთხვევაშიც მათი უშუალო ჩართულობით და რეკომენდაციით მომზადდა და კომისიას გასაცნობად გადმოეცა საბრძოლო მოკვლევა, საიდანაც ირკვევა, რომ ორივე მათგანი: ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილი და ოთარ ოძელაშვილი დაჯილდოებულნი არიან ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მარიამ მათიაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ოჯახის ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე და მეთერთმეტე საკითხები.

მომხრე ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ცუფხო) ძათიაშვილის სახელი.

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: კომისიაში იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურიდან შემოვიდა მოქ. გივი გვიმრაძის განცხადება, რომელიც ითხოვს ქუჩის სახელდებას დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში. საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ საკადასტრო ერთეული (01.72.14.009.202) მდებარეობს უკვე სახელდებული ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელებაზე და მიზანშეწონილია ხსენებული ქუჩის გაგრძელება. აღნიშნული სახელდებით მისამართის პრობლემა მოეხსნება რამდენიმე ოჯახს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ტარიელ გვიმრაძის ქუჩა.

13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ (ლისის ქუჩის გაგრძელება, ნეკერჩხლის ქუჩა, ლისის იასამნების ქუჩა, ბზის ქუჩა)

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს სამშენებლო კომპანია „ლისი ფო“-ს წერილი გააცნო, რომლითაც ითხოვენ საბურთალოს რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას. საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ გზისთვის გათვალისწინებული მონაკვეთები დატვირთულია საზოგადოებრივი სერვიტუტით. ასევე გამოიკვეთა, რომ მიმდებარე ქუჩები ატარებს ხე-მცენარეების სახელებს. არსებულის გათვალისწინებით, სამშენებლო კომპანიასთან კონსულტაციების შემდეგ მიზანშეწონილია არსებული ქუჩებისთვის:ნეკერჩხლის და ლისის იასამნების სახელების მინიჭება. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ მთავარი გზა, რომელიც ლისის სახელს ატარებს, განაშენიანების შემდგომ იცვლის კონფიგურაციას, ქუჩის ძირითადი მონაკვეთი გრძელდება, ხოლო მის ერთ მონაკვეთს კომისიას სურს ბზის ქუჩის სახელი მიანიჭოს.

სამშენებლო კომპანია „ლისი ფო“-ს წარმომადგენელმა მარიამ ჟორჟოლაძემ მადლობა გადაუხადა კომისიას აქტიური თანამშრომლობისთვის და ინტერესების გაზიარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ლისის ქუჩა და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებს მიენიჭოს ნეკერჩხლის, ლისის იასამნების და ბზის ქუჩის სახელები.

14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე მოედნისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ზურაბ პატარიძის ქუჩისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, თბილისის საკრებულომ 2016 წლის 22 მარტის #84 განკარგულებით ისნის რაიონში განახორციელა მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირის სახელდება, რომელიც პოლონეთის პრეზიდენტის ანჯეი დუდას და პოლონეთის სახელმწიფოს სხვა მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტის ფარგლებში გაიხსნა.

ვიზიტის ფარგლებში გაჟღერდა, რომ მოხდებოდა გეოგრაფიული ობიექტის გაგრძელება. საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსთან კონსულტაციების შემდგომ გვსურს ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე მოედანს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ზურაბ პატარიძის ქუჩას მივანიჭოთ მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელი.

"ვინაიდან მარშალ პილსუდსკის გამზირსა და იმ უსახელო ქუჩასა და მოედანს შორის, რომლებსაც მარშალის სახელი ერქმევა მდებარეობს ზურაბ პატარიძის ქუჩა, მიზანშეწონილია მისთვის ასევე იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭება და მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის დარქმევა"-განმარტა თინათინ ნიბლოშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საკითხები.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე მოედანს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ზურაბ პატარიძის ქუჩას მიენიჭოს მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელი.

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ზურაბ პატარიძის სახელი

დასასრულს, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

# სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

## სხდომა

22 ივლისი , 2019 წელი

| N | სახელი, გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1. | თინათინ ნიბლოშვილი | |
| 2. | მარიკა დარჩია | |
| 3. | გიორგი ბირბიჩაძე | |
| 4. | ანა ლაშხი | |
| 5. | გულია გოცირიძე | |
| 6. | თარაშ შურღაია | |

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი